

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება პირისა და სახელმწიფოს მიერ ერთმანეთის უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

- საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:
 - საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
 - მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
 - საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაქვევება დაუშვებელია.
 - საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გადწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის თანახმად:
საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმადგროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.

- საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა**

საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

- სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა**

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო.

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი**

საქართველოს მოქალაქეობა დასტურდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან საქართველოს მოქალაქის პასპორტით.
16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება დაბადების მოწმობით ან მშობლის პასპორტით.
16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებს ვინაობა უცნობია, დასტურდება დაბადების მოწმობით.

- საქართველოს მოქალაქე**

საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

 - პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე.

აღნიშნული შემთხვაპისთვის საპარტვილოს იუსტიციის სამინისტროში წარსადგან დოკუმენტთა წუსხა:

- საქართველოში არანაკლებ 5 წლით მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);**
- კანონის ამოქმედების დროისთვის საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (საპასპორტო მონაცემები, პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);**
- ცნობა საპასპორტო სამსახურიდან იმის შესახებ, რომ დაინტერესებულ პირს კანონიერ დადგენილ ვადაში უარ არ განუცხადებია საქართველოს მოქალაქეობაზე;**
- ფოტოსურათი ზომით - 3/4.**

ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია, რის გამოც საქართველოში მუდმივად ხუთი წლის განმავლობაში არ უცხოვრია, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას არ უნდა ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

ან შემთხვაპისთვის საპარტვილოს იუსტიციის სამინისტროში წარსადგან დოკუმენტთა წუსხა:

- საქართველოში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლის საპასპორტო მონაცემები);**
- 1991 წლის 21 დეკემბრამდე საქართველოში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები (პასპორტი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი);**
- სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების საფუძელის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ცნობა ამ ქვეყნის მოქალაქეობის არქონის შესახებ;**
- ფოტოსურათი ზომით 3/4.**

გ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ამ კანონის შესაბამისად.

- საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლები**

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება:

 - დაბადებით;
 - საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);
 - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

- ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან**

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

- ბავშვის მოქალაქეობა, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა**

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

- დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;
- დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;
- ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე - მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცნობია. მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში - იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა. იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

- ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან**

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადენი საქართველოს ტერიტორიაზე.

- ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან**

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

- უცნობ მშობელთა ბავშვის მოქალაქეობა**

საქარველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

- ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას**

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიულწვეული ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

● ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას

ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება. თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიულწვეულ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვს უწყდება საქართველოს მოქალაქეობა. ერთ-ერთი მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეწყვეტას.

- ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისას**

თუ ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე. თუ ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

- სრულწლოვანი პირის მიერ მოქალაქეობის არჩევის შესაძლებლობა**

თუ მშობლებს სხვადასხვა მოქალაქეობა აქეთ და ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურფელისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

- ბავშვის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება შეილად აყვანის შემთხვევაში**

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შეილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), მშვილებელის (მშვილებელთა) შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას. ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ მუულებების მიერ შეილად აყვანის შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

- ბავშვის მოქალაქეობის შენარჩუნება შეილად აყვანის დროს**

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მუულებების მიერ შეილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში, მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა. ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუ იგი შეილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მუულებებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

- ბავშვის მოქალაქეობა, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა**

ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

- ბავშვის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტის თავისებურებანი**

ამ კანონის მე-17-22-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოქალაქეობის შეცვლისათვის საჭიროა 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის თანხმობა.

- ქმედუუნარო პირის მოქალაქეობა**

ქმედუუნარო პირის მოქალაქეობა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს მეურვის შუამდგომლობით, ამ კანონით დადგენილი წესით.

- დავა ბავშვების, ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე**

დავა მშობლებს, მეურვეებსა და მზრუნველებს შორის ბავშვის, ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლო წესით ბავშვის, ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

● საქართველოს მოქალაქეობა ქორწინების ან განქორწინების დროს

საქართველოს მოქალაქის ქორწინება ან განქორწინება უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად არ იწვევს მუულლეთა მოქალაქეობის შეცვლას. ერთ-ერთი მუუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მუუღლის მოქალაქეობის შეცვლას. მუულლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

- საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები**

საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის შესაბამისად მიიღება სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;
ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა;
გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;
დ) საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

საპარტვილოს იუსტიციის სამინისტროში წარსადგან დოკუმენტთა წუსხა:

- პირადი განცხადება საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. განმცხადებელი ვალდებულია თან იქონიოს და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი) ან დადგენილის წესით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ;**
- საქართველოში სამუშაო ადგილის ან რაიმე უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- ორი ცალი ფოტოსურათი ზომით 3/4;**
- არასრულწლოვანი პირის მიღების მსურველმა პირმა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქალაქეობის საკითხთა კომისიას დადგენილი წესით უნდა ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის დადგენილ ფარგლებში ცოდნის შესამოწმებლად.**

- საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის მიღება საქართველოს მოქალაქედ**

პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნას საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 26-ე მუხლის "ბ" და "გ" პუნქტებისა და 261-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საპარტვილოს იუსტიციის სამინისტროში წარსადგან დოკუმენტთა წუსხა:

- პირადი განცხადება საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. განმცხადებელი ვალდებულია თან იქონიოს და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- საქართველოს მოქალაქესთან ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქორწინების მოწმობა ან დადგენილი წესით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ);**
- მუუღლის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- საქართველოს ტერიტორიაზე მუუღლესთან ერთად უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა საპასპორტო განყოფილებიდან ან დადგენილი წესით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ);**
- ორი ცალი ფოტოსურათი ზომით 3/4;**
- არასრულწლოვანი პირის მიღების შემთხვევაში: დაბადების მოწმობის ასლი, დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა (14-18 წლამდე ბავშვის თანხმობა).**
 - საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველმა პირმა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქალაქეობის საკითხთა კომისიას დადგენილი წესით უნდა ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის დადგენილ ფარგლებში ცოდნის შესამოწმებლად.

● საქართველოს მოქალაქედ მიღების განსაკუთრებული პირობები

საქართველოს პრეზიდენტს, ცალკეულ შემთხვევებში უფლება აქვს ამ კანონის 26-ე მუხლის "ა", "ბ", "გ" და "დ" პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაუცველად საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ:

- საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;
- მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარსაღვანე ფოკუსირებული ნუსხა:

- პირადი განცხადება საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. განმცხადებელი ვალდებულია თან იქონიოს და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა ოჯახის წევრთა შემადგენლობის შესახებ;
- კანონის 27-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მოთხოვნათა დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი სამეცნიერო ხარისხის, სამხედრო ნოდების, კვალიფიკაციის, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის, ინვესტორის, ჯილდოს, პრემიის, საავტორო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიის, სახელმწიფო ორგანოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის შუამდგომლობა)
- ორი ცალი ფოტოსურათი ზომით 3/4;
- არასრულწლოვანი პირის მიღების შემთხვევაში: დაბადების მოწმობის ასლი, დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა (14-18 წლამდე ბავშვის თანხმობა).

● საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მას მოქალაქეობა შეუნყდა:

- მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის შედეგად;
 - მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;
 - მშობლების არჩევანის შედეგად.
- ამავე მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგება, თუ იგი განცხადების შეტანის მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის "ბ" და "გ" პუნქტებისა და 261-ე მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარსაღვანე ფოკუსირებული ნუსხა:

- დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ იგი კანონის შესაბამისად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ;
- კომპეტენტური ორგანოს ბრალით საქართველოს მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მშობლების არჩევანის შედეგად მოქალაქეობის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 2 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4.
- განცხადების შეტანის პერიოდისათვის საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მსურველმა პირმა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქალაქეობის საკითხთა კომისიას დადგენილი წესით უნდა ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის დადგენილ ფარგლებში ცოდნის შესამოწმებლად.

● საქართველოს მოქალაქის ფიცი

პირი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა ნატურალიზაციით ან საქართველოს მოქალაქეობის აღდგენით, ქართულ ენაზე დებს საქართველოსადმი ერთგულების ფიცს: "მე (გვარი, სახელი), ვხდები რა საქართველოს მოქალაქე, ვფიცავ ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულ ენას, ვალდებულებას ვიღებ პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს" და ხელმოწერით ადასტურებს მას.

● საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები

- საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება პირი, თუ:
- ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ;
 - მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში.

● საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;
- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

● საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარსაღვანე ფოკუსირებული ნუსხა:

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ყოფილი სსრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტი, რეგისტრაციის (ჩაწერის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ცნობას იმის თაობაზე, რომ იგი დადგენილი წესით არ არის განვული სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად;
- კომუნალური თუ სხვა სახის დავალიანების არქონის დამადასტურებელ დოკუმენტი (სახელმართველობა და საგადასახადო);
- ორი ცალი ფოტოსურათი ზომით 3/4;
- გვარის გამოცვლის შემთხვევაში – გვარის გამოცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- არასრულწლოვანი პირის გასვლის შემთხვევაში: დაბადების მოწმობის ასლი, დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა (14-18 წლამდე ბავშვის თანხმობა) და სხვა სახელმწიფოს დასტური არასრულწლოვანი პირის ამ სახელმწიფოს მოქალაქედ მიღებაზე.

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე საქართველოს წინაშე მუხსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

● საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

- ამ კანონის შესაბამისად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:
- საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის და მმართველობის სხვა ორგანოებში, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში;
 - მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში;
 - საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;
 - მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

● წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე

წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეაქვს სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს. სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ - შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს.

● საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებას და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. დასკვნა მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე მტკიცდება იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე.

თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის 35-ე მუხლში მითითებულ უწყებათა წარდგინების გარეშე ცნობილი გახდება პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა, იგი ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით განიხილავს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

● საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებისა და წარდგინების დამაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - განკარგულებას.

● საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას

- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება;
- უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;
 - საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე;
 - საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე;
 - საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.

● მოქალაქეობის დადგენის საკითხების განხილვა

ამ კანონის მე-3 მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებითა და მე-11-22-ე მუხლებით გათვალისწინებული მოქალაქეობის დადგენის საკითხებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მოქალაქეობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რის თაობაზეც ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

● მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის ვადები

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

● სახელმწიფო ბაჟი

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით.

თუ პირმა საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა არამართლზომიერად, მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისას თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

● დებულება მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის შესახებ

დებულება საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე მტკიცდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

● საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით განცხადების განხილვაზე დაუშაბთუებული უარის, შუამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებებისათვის შესაბამისი თანამდებობის პირები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით.

● საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.

ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის მსახურების დაკარგამენტს საგარეოაზიური განათლების ასოციაციის გზით



თბილისი, ინფორმაცია ქუჩა 14
 ტელ.: 995 32 93 58 41, 92 29 14; ფაქსი: 995 32 92 05 96
 ელ-ფოსტა: alpeonline@gol.ge

საქართველოს მოქალაქეობა